



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1333
20/07/2018

ქალაქი ბათუმი

1333-05-4-201807201534



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-სათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა FORD TRANZIT BUS DIESEL სახ. ნომერი- CEC-281-ის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-ს 2018 წლის 11 ივლისის №01-05/81 მომართვისა და მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 17 ივლისის №2029-05 და 19 ივლისის N2045-05 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურ“-ს თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა FORD TRANZIT BUS DIESEL სახ. ნომერი- CEC-281-ი. საწყისი ღირებულება 12700 (თორმეტიათასშვიდასი) ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულება 1837 (ათასრვაასოცდაჩვიდმეტი) ლარი.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართალვერცი უზრუნველყოფის ხელმძღვანელს ლევან ბერიძეს მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-თან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მერიის ქონების მართვის განყოფილებამ (თ. ხალვაში) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა